წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 21 ივლისი 1915 წ. № 49

# საქართველო

[stamp]

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

კნეინა ნინო ალექსანდრეს ასული წერეთლისა და კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათის დის

**კნიაჟნა ბარბარე ალექსანდრეს ასულის ბაგრატიონ-დავითიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7-ს საათზე. ოლღას ქუჩა № 52 სახლი. კნ. მაჩაბლისა. გამოსვენება სამშაბათს, 21-ს ივლისს დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა სოფ. სატივეს საგვარეულო აკლდამაში. 1—1

---

## „ხარფუხის კლუბი“

**პროგრამა 21—26 ივლისამდე**

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

**სამშაბათს** 21 ივლისს **სინემატოგრაფი ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.**
**ოთხშაბათს** 22 ივლისს **ქართული წარმოდგენა** „რაც გინახავს ველარ ნახავ“ მონაწილეობას იღებენ ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და სხ. ანტრაქტში—**საზანდარი—**ბაღში დაუკრავს—**სამხედრო ორკესტრი.**
**ხუთშაბათს** 23 ივლისს **საბავშვო საღამო,** სეირნობა სხვა და სხვა გასართობები, **სინემატოგრაფი მუსიკით.** შემდეგ **მანდოლინტების ხორო.**
**პარასკევს**—24 ივლისს **სინემატოგრაფი**—ბაღში **საზანდარი.**
**შაბათს**—25 ივლისს **საოჯახო საღამო**—ქართ. წარმოდგენა **კონცერტით.** ბაღში **სამხედრო ორკესტრი.**
**კვირას**—მანდოლინისტების ხორო.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს., წარმოდგენების და კონცერტების—9 ს. საბავშო საღამოები—5—9 საათამდე—სტუმრები იხდიან მამაკაცები—30 კ. დედაკაცები და სტუდენტები ფორმაში—20 კ.—**საოჯახო საღამოს**—სტუმრები იხდიან—ქალები და სტუდენტები—30 კ. მამაკაცები 50 კ.

---

პირველხარისხოვანი

## სასადილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი“

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

---

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—10

---

**ქ. გორში**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

[უფრ]ოსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

[ქ]ალ-ვაჟთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

---

**გადაწერას საწერ მანქანის**

**ს აზვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

**ი. თ. ბეათუას კანტორა**

✦ **ვერის დაღმართი № 1** ✦

ტელეფონი 17—05

# ომის დღიური

## მიმოხილვა

უკანასკნელ დღეებში გენერალურ ბრძოლის ბედი თანდათან ირკვევა. რადგან ავსტრო-გერმანელებმა მოახერხეს ჩრდილოეთით ნარევზე გადმოსვლა, დასავლეთით—ვისლის გადმოლახვა და სამხრეთით ლიუბლინ-ხოლმის რკინის გზის გადაჭრა და ბრძოლის პირის გარღვევა, რუსის ჯარისთვის ხელსაყრელი აღარ არის ვისლის ნაპირების დაცვა. იგი ნელ-ნელა იკუმშება და სტრატეგიულ რკალიდან გამოდის. თქმა არ უნდა, რომ ეს „გამოსვლა“ აღინიშნება მრავალ საარიერგარდო ბრძოლით და დასრულდება მძლავრ ციხეების—კოვნო, გროდნო, ბელოსტოკ ბრესტის გაყოლებით. ამ რიგად გასწორდება ბრძოლის პირი, რომლის მოხაზულობა აქამდე ხელსაყრელი არ იყო რუსის ჯარისათვის, რომლის ორივე ფრთა ყოველთვის უკან იყო გადმოზნექილი.

უკანასკნელ ორ დღეში მოსულ ცნობებით დვინისა და ნემანის შუა აქამდე ადვილად მომავალ გერმანელებს ეხლა რუსის საკმაო ჯარი გადაეღობა და შეებრძოლა. სასტიკი და შეუდგარი ბრძოლის შემდეგ გერმანელები გადმოვიდნენ მდინარე აასს და ბაუსკს მიადგნენ, ხოლო უფრო სამხრეთით რუსის ჯარმა ზოგან უკუაქცია მტერი, ზოგან კი შეაჩერა იგი. აქამდე თუ გერმანელთა წინსვლას ამ რაიონში დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამიერიდან მისი წამოწევა პეტროგრად-ვარშავის გზისკენ მეტად სახიფათო ხდება, ამიტომ რუსის ჯარი უკიდურეს ღონეს მოიკრებს და ეცდება მოპირდაპირე წინ აღარ გამოუშვას.

ნარევზე გაუთავებელი და უსასტიკესი ბრძოლები გრძელდება. მოპირდაპირე დიდის ზარალით და დანაკლისით ნელ-ნელა წინ მოიწევს.

ვისლის მარჯვენა ნაპირზე გადმოსული მტერი გაშმაგებული იბრძვის და ლამობს წამოწევას ლუკოვსკენ, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა იყრის თავსა. ამ მხრიდან მოპირდაპირე ემუქრება რუსის ლიუბლინის ჯარს, რომელიც იძულებულ იყო ლიუბლინიდან ჩრდილოეთისკენ წამოსულიყო რათა მტერს ორივე მხრიდან არ მოევლო მისთვის. ხოლმის ჯარიც ცხარე ბრძოლის შემდეგ წამოვიდა ჩრდილოეთისკენ. ვიმეორებთ, არც აქ, არც ვისლაზე და არც ნარევზე რუსის ჯარს ფეხის მოსაკიდებელი აღარაფერი აქვს, ამიტომ დღეის იქით თუმცა მრავალი ბრძოლა მოხდება ბრესტ-ბელოსტოკამდე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს რომ ამ ბრძოლებს მიზნად ექნება ხოლმე მოპირდაპირის შეჩერება იმ დრომდე, სანამ მთავარი ჯარები რუსებისა მიაღწევენ თავიანთ მთავარ პოზიციებს.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**პეტროგრადი,** 18 ივლ. **ბრძანება არმიისა და ფლოტისადმი. 19 ივლისს 1915 წელს.**

ერთის წლის წინად გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა და ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ იარაღი აიღეს და თავიანთი ჯარი ჩვენ სამშობლოს საზღვრებისაკენ გამოგზავნეს. დიდებულო მხედრობავ არმიისა და ფლოტისა! სრული წელიწადია რაც თქვენ მოწვეული ხართ რუსეთის ღირსებას და ჩვენ სამშობლოს მშვიდობიან მცხოვრებთა კეთილდღეობის დასაცველად. ამ წლის განმავლობაში თქვენ წინაპართა ვაჟკაცობა და შეუპოვრობა გამოიჩინეთ. თქვენ მოჰფინეთ ჩვენი დროშები ახალის დიდებით და ათასმა საუკეთესო მამულიშვილმა საკუთარ სიცოცხლით განამტკიცა რუსეთის სამართლიანი საქმისადმი ერთგულება. ჩვენს სამშობლოში შემოსაჭრელად ათის წლობით მომზადებულმა მტერმა ვერ დათრგუნა თქვენი სიძლიერე და მიუხედავად ომის არსებულ კანონების გადალახვისა, მისი პოლკები რუსის ჯარის კაცისებურ ძალას ასკდებიან და იმსხვრევიან. ამაყურად და რწმენით შემოგცქერის თქვენ მთელი ჩვენი სამშობლო, და ულრმეს მადლობით იხსენიებს თქვენს გმირობას რუსეთის ერთგული მოკავშირენი. მიუხედავად თქვენი უმაგალითო სიმამაცისა, მტრის ძალა ჯერაც არ არის განადგურებული და ბევრი ცდა და შეუპოვრობა მოგვეთხოვება კიდევ, რომ რუსეთს კვლავ დაუბრუნდეს მშვიდობიანი ცხოვრება. ნუ შედრკების გული თქვენი და ნუ დაეცემით სულით ახალ ტანჯვის და ახალ მსხვერპლის მოლოდინში. განგებითა ღვთისათა არა ერთხელ განუცდია ჩვენ სამშობლოს მძიმე ტანჯვა და ხიფათი. მაგრამ იგი ბრძოლიდან ყოველთვის უფრო გაძლიერებული და გამაგრებული გამოდიოდა. თავის მოვალეობის ერთგულნი და საერთო გრძნობით აღჭურვილნი რუსეთის ყველა ერთგული შვილი თქვენთან არის, რომ თქვენთან სულიერ კავშირით ხელი შეუწყონ მიზნის მიღწევას და თავის დახმარებით შეგიმსუბუქონ თქვენ ძნელი საქმე მტრის ძლევისა. შეურყეველ რწმენით და მტკიცე იმედით გამარჯვებისა ჩემთან ერთად შემოგცქერის თქვენ მთელი რუსეთი და ევედრება უფალს კურთხევას, რათა მომავალ მძიმე და დიდებულ საქმეში გამარჯვება მოგვენიჭოს.

ნამდვილზე მათი იმპერატორობით უდიდებულესობის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“.

**თბილისი,** 18 ივლისი. **კავკასიის ჯარის შტაბისაგან.** 16 ივლისს ზღვის რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით არკინსთან სროლაა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

**თბილისი,** 19 ივლ. **კავკასიის ჯარის შტაბისაგან.** 17 ივლისს ზღვის რაიონში სროლაა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 18 ივლ. ოფიციალი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. 17 ივლისს ნემანისა და დვინას შუა გერმანელებს ბაუსკზე უნაყოფო იერიშები მოჰქონდათ. სამხრეთით კონსტანტინოვო-კრინჩინი-ტრაშკუნის ფრონტზე ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის მოწინავე რაზმები. კოვნოს დასავლეთით 16 ივლისს მტერი წინადლით აღებულ პოზიციებიდან ხიშტებით გავდევნეთ. 17 ივლისს მტერი ცდილობდა ნარევის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლას შკვას შესართავთან, როჟანის აღმოსავლეთით კი იერიშები მოჰქონდა ჟაბინ-რემბიშეს რაიონში. ჩვენ წინანდელი პოზიციები შევინარჩუნეთ. ბლონეს ჩრდილოეთ-დასავლეთით ვისლის მარცხენა ნაპირზე 17 ივლისს მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ენერგიულად შევუტიეთ მტრის იმ ჯარს, რომელმაც მაგნუშევ-კაზენიცეს ფრონტზე ვისლა გადმოლახა. რადომირკას შესართავთან მტერი ტყიდან გამოვრეკეთ და გადავრეკეთ ვისლის კუნძულებზე. ვისლის ზემო ნაწილში მტერი სცდილობს პოზიციების შენარჩუნებას დაბა მაცევიცეს მიდამოებში. ვისლისა და ბუგის შუა 17 ივლისს ჩვენს ჯარს ნაბრძანები ჰქონდა წინდაწინ მომზადებულ პოზიციებზე დახევა. მოპირდაპირე არ ეწინააღმდეგებოდა ამ ახალ ფრონტის დაჭერას, სადაც 17 ივლისს ჩვენი ჯარი უბრძოლველად დაბანაკდა. ჩვენ დავსტოვეთ ქალაქი ლიუბლინი და რკინის გზის ლიანდაგი სადგურ ნოვაია ალექსანდრიიდან რაიოვეცამდე. ბუგზე ქალაქ სოკალის სამხრეთით ჩვენი ჯარი განაგრძობდა ზოგიერთ პოზიციებიდან მტრის განდევნას. ტყვეების სიტყვით, უკანასკნელ დღეების განმავლობაში ამ მიდამოებში მტერს დიდძალი ზარალი მოსვლია. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 19 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. კურლანდიის გუბერნიაში ბაუსკის ქვემოდ მდინარეააზე 17 და 18 ივლისს გერმანელებთან სასტიკი შეტაკება გვქონდა. უთვალავ და უნაყოფო ცდის შემდეგ მტერმა შესძლო მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლა და იუნფერნგოფთან გამაგრება. პონევეჟისკენ სოფელ დარშიშკთან ჩვენ უკუვაგდეთ გერმანელთა რაზმი, ხოლო ბატიანი-ტილტაგოლის რაიონში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასი გერმანელი და ტყვიისმფრქვეველები. ჩვენ მიერ აღებული მტრის თხრილები გერმანელ ჯარის კაცთა გვამებით იყო სავსე. ნარევის ფრონტზე, მდინარე პისსას მარჯვენა ნაპირზე სოფელ სერვატკასთან და შკვას შესართავთან 18 ივლისს მტერმა შემოგვიტია. დასაწყისში მან შესძლო ნარევის მარცხენა ნაპირის დაჭერა, მაგრამ ჩვენმა ენერგიულმა კონტრ-იერიშმა ხიშტებით აიძულა მას უკან დახევა თითქმის მდინარის ნაპირამდე. იმავე ღამით ახალი მაშველი ჯარის შემწეობით ნარევი და მდინარეს შუა მტერი შემოტევას ავითარებდა და ზვაიმან ბოლით სარგებლობდა. გაფთრებულ ხიშტებით ბრძოლის შემდეგ კამენკა-უადინის ფრონტზე გერმანელებმა შესძლეს ცოტათი წინ წამოწევა. სამხრეთით მდინარე ოჟზე მტერმა შესძლო ჩვენი წინა თხრილების დაჭერა, მაგრამ შემდეგ ხიშტებით გავაძევეთ თხრილებიდან და უკუვაგდეთ წინანდელ პოზიციებისკენ. აქ უსასტიკესი ომი იყო და მტერმა დიდი ზარალი ნახა, ამასთანავე კონტრ-იერიშის დროს ჩვენ დავატყვევეთ 1000 კაცი და წამოვიღეთ ერთი ბატარეა. ნარევის ფრონტის ზოგიერთ ადგილას მოპირდაპირემ უკანასკნელ დროს ბრძოლაში ჩარია ახალი ჯარები, რომელნიც პირველად გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ბლონე-ნადარჟინის ფრონტზე თოფ-ზარბაზნის სროლაა. ვისლის მარჯვენა ნაპირზე 18 ივლისს დილით მეტად სასტიკი ბრძოლა დაიწყო ისევ მაცევიცე-კობილნიცას ფრონტზე. ივანგოროდის რაიონში, გნებუშოვთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. ვისლისა და ბუგის შუა 18 ივლისს მტერს ენერგიული იერიშები მოჰქონდა მდინარე ვეპრჟისა და სადგურ რეიოვეცის შუა. ქალაქ ხოლმისა და მდინარე ბუგის შუა მტერი დიდის ძალით მოაწვა ჩვენს ჯარს, რომელმაც მეტად სასტიკ ბრძოლის შემდეგ რამოდენადმე ჩრდილოეთით დაიწია. სხვაგან ცვლილება არ მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანია საზამთროდ ემზადება.**

გერმანიის ოფიციოზმა „ვოლფის სააგენტომ“ აუწყა ქვეყანას, რომ გერმანიამ დიდძალი თბილი ხელთათმანი და ქუდი დაამზადა ჯარისკაცებისათვისო.

(ბ. ვ.)

**ვილჰელმი და გინდენბურგი.**

„Lokal Anzeiger“-ში მოთავსებულია წერილი, რომელიც აგვიწერს ვილჰელმის და გინდენბურგის შეხვედრას პოზნანში. პოზნანის სადგურზე გინდენბურგს შეხვდა კაიზერის ობერ-გოფმარშალი, რომელმაც იგი ვილჰელმის ავტომობილით სასახლეში წაიყვანა. სასახლეში გინდენბურგს დაუთმეს ის აპარტამენტები, რომლებიც მას ძალიან უყვარს და შარშა-

ნაც ზამთარშიაც ეპირა. შემდეგ გაზეთი შენიშნავს, რომ ვილჰელმის ბაას გინდენბურგთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ფრონტის მომავალ ოპერაციისთვისო. ბოლოს გაზეთი სწერს: „გერმანიის ხალხი დიდის კმაყოფილებით შეიტყობს, რომ იმპერატორმა ვილჰელმა ჯეროვანი პატივი მიანიჭა გინდენბურგს. ამ მოვლენაში გერმანიის ხალხი დაინახავს იმპერატორის მადლობას აღმოსავლეთ პრუსიის მხსნელისადმი, რომლის ღვაწლის დაფასება ისე კარგად არავის შეუძლიან, როგორც იმპერატორს" (ბ. ვ.).

**მაკენზენის თაყვანისცემა.**

გერმანიიდან მოსულ ცნობებით მაკენზენს დიდი სახელი გაუვარდა გერმანიაში. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში პრუსიის ქალაქების უმრავლესობამ მაკენზენი საპატიო მოქალაქედ აირჩია. გარდა ამისა, ყველა იმ თემებმა, სადაც ბინადრობდა ომამდე მაკენზენის უფროსობით მე-17 კორპუსი, პრუსიის უმაღლეს მთავრობას თხოვნით მიჰმართეს, რათა მათ თავიანთ საკუთარ სახელს მიუმატონ სიტყვა „მაკენზენი". პრუსიის უმაღლესმა მთავრობამ ამ საკითხის გადაწყვეტა დაუკავშირა მაკენზენის სურვილს. მაკენზენმა თანხმობა განაცხადა.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტროგრადი**, 19 ივლისი. სახელმწიფო სათათბირო, თავრიზის სასახლის ეკატრინეს დარბაზში, სახელმწიფო სათათბიროს გახსნის წინ ბრწყინვალე პარაკლისი იქნა გარდახდილი სამეფო მრავალჟამიერის ასამაღლებითურთ. პარაკლისს დაესწრო სათათბიროს პრეზიდიუმი, ყველა მინისტრები და სათათბიროს წევრები. სამხედრო მინისტრმა კანონპროექტი შეიტანა, რათა სახელმწიფოს დაცვის განსაკუთრებულ ზომების დადგენილება დამტკიცებულიყო. კრება იხსნება შუადღის 1 საათ. და 9 წ. თავმჯდომარის ტრიბუნას იჭერს როძიანკო, ვარუნ-სეკრეტი და პროტოპოპოვი. სამინისტრო ლოჟაში გამოჩნდენ ყველა მინისტრები და მათი ამხანაგები. სათათბიროს წევრთა დივნები, სახ. საბჭოს წევრთა ლოჟები, დიპლომატთა, ბეჭდვითი სიტყვის და ადგილობრივ დამსწრეთა სკამები სხდომის ადრიან გახსნისთანავე სულ სავსე იყო.

სათათბირო ფეხზე ადგომით ისმენს შრომის განახლების უმაღლეს ბრძანებას. ბრძანების გამოცხადების უმალ, თავმჯდომარე ხელმწიფე იმპერატორის სახელზე დაიძახებს „ურას", რასაც ყველანი შეუწყვეტლივ იმეორებენ. გალობენ სამეფო ჰიმნს.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ფეხზე ახგომით პატივი სცენ სესიის შეწყვეტის დროს სათათბიროს გარდაცვალებულ წევრთ, ბოლოს გაიხსენეს თავადი გელოვანიც. ყვლანი დგებიან. გელოვანის გარდაცვალების გამო თავმჯდომარე მიჰმართავს სათათბიროს შემდეგი მგრძნობიარე სიტყვით: „თავადი გელოვანი გმირული სიკვდილით დაეცა; იგი თავ-განწირული მომვლელი იყო დაჭრილებისა, და აი, ამ ერთგულებამ შესძლენა გადამდები სენიც. დაე, ბრწყინვალე ხსოვნა ამ გმირისა უკვდავი იქმნეს სამამულიშვილო ომთან ერთად მადლიერ შთამომავლობის გულში. დაე, ყოველთვის დაფასებული იქნეს საქმენი, რაც თავად გელოვანმა გმირულ სიკვდილით დაგვანახვა". შემდეგ ყურადღებად გარდაქმნილ დარბაზს როძიანკომ ასეთი სიტყვით მიჰმართა: „ბატონო სათათბიროს წევრნო! დღეს ერთი წელი შესრულდა ამ სისხლის მღვრელი ომისა, რასაც მძიმე მსხვერპლი მისდევდა ფეხ და ფეხ. ჯერ კიდევ არ ჩაჩუმებულა ხალხის მგრგვინველი შურისძიების ხმა და არც არავინ იცის, როდის შესწყდება იგი. ეს ომი უმაგალითო ომი გახლავთ, როგორც სიძნელით, ისე უთვალავი მსხვერპლით. მაგრამ რამდენად მძიმეა საფრთხე, იმდენად უფრო იზრდება გარდაწყვეტა, რომ ომი სასურველ ბოლომდის მივიყვანოთ, გავტეხოთ მტერი, დავამარცხოთ. (ხანგრძლივი ტაშის ცემა). ამ საკითხის გარდასაწყვეტად ყოველ მხრიდან ჩვენ გვევალება ყოველი ღონე მოვიკრიბოთ, გავერთიანდეთ. ამ საშინელ მერყეობის დროს დიდმა ხელმწიფემ მოისურვა ისმინოს რუსეთის ხმა, ამიტომ ბრძანა მოეწოდებინა სახელმწიფო სათათბიროსთვის. მათ უდიდებულესობას ღრმადა სწამს, რომ რუსეთის ძალ-ღონე დაუშრეტელია. მათი უდიდებულესობა მთელის სამშობლოს სამმართველო და საზოგადო დაწესებულებათაგან, შეხედულობათა და მდგომარეობათა განურჩევლად, რომ ყველანი თანხმობით, ერთგულოვნად, ერთის აზრით განიმსჭვალებიან რუსეთის უძლეველ ერთიანობის განსამტკიცებლად! (ხმები: „მართალია", —ტაშის კვრაა). სახელმწიფო სათათბირო ნათლად ესმის მეფის დიდებული მოწოდება და ერთგულად შეუდგება საპასუხისმგებლო შრომას. განახლებულ მმართველობას უთხარით თქვენი გულწრფელი სიტყვა, რაიც ასე საჭიროა ჭეშმარიტების გამოსაკვლევად. ყველა ჩვენი კამათი, შესაძლებელია ქარიშხალსავით მღელვარი და დაუდგრომელი, ფრიად საჭიროა, იგი წაგვიყვანს გამარჯვებისკენ, დაბრკოლებათა გარდასალახვად. (ხმები: „მართალია".) თვით უსასტიკეს შეჯახების დროს, კამათის მძაფრ სარბიელზე ჩვენ არ დაგვავიწყდება, რომ იქ, ბრძოლის ველზე, სამშობლო მხარის ცოცხალი მახვილი, მძვინვარე მტრის წინ და მოკრძალებული ღვთის წინაშე, თავის დიდებულ აღუშფოთველობით. რუსეთის ლაშქარს წარმოადგენს! იგი გაკაჟებული ნებით, ფოლადი სულით ნებას არ მისცემს მტერს, რომ შეურაცხჰყოს რუსეთის სალხი. ჩვენი მამაცი ფლოტიც მას არ ჩამორჩება (ხმები: „ვაშა!" ხანგრძლივი ტაშის ცემა). დაე, უწყოდნენ ჩვენმა მტრებმა და ნუ გათამამდებიან წარმავალი გამარჯვებითა! მთელი წლის განმავლობაში ჩვენს ლაშქარს არ მიუტოვებია ბრძოლის ველი; თამამად აუმართავს რუსეთის უწმინდესი დრამა და მტრის ზარბაზანთა ცეცხლის ნალმის ქვეშ გულადად იცავს სამშობლოს პატივს. დასდექით მტკიცედ, ძვირფასო მებრძოლნო სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის, დაე, თქვენთან ერთად იყოს კურთხეული ლოცვანი ჩვენი! (ტაში). ვერაგმა და უგულო მტერმა კარგად დააფასა თქვენი ძალა და თავისი ჯარის უმეტესი ნაწილი თქვენკენ გამოგზავნა. გაბოროტებული მტერი ახალ-ახალ სამუსრელ ხერხს იგონებს თქვენს მოსასპობად, მაგრამ თქვენ მრავალჯერ დაამტკიცეთ, რომ არ შეგშინებიათ ამ ჯოჯოხეთური ძალისა. უმდაბლესს სალამს მოგიძღვნით თქვენ, ჩვენნო გოლიათნო! (ტაშისკვრა). დღევანდელს ომის წლის თავზე სალამი თქვენდაც, ჩვენნო მოკავშირენო, (ხანგრძლივი ტაში. ყველა ფეხზედა დგება და ესალმება ლოჟებში მყოფ მოკავშირე ქვეყნის ელჩებს, რომელნიც თავის მხრივ მადლობას უხდიან). 12 თვის ომმა კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ჩვენი მეგობრობა, განამტკიცა ნდობა და ურთიერთა ცნობა. რუსეთი სალამს მიუძღვნის აგრეთვე ჩვენს ახალ მოკავშირე იტალიის ერს. (ისმის „ვაშა" და ტაში. სათათბიროს წევრნი დგებიან და სალამს იძლევიან დიპლომატების ლოჟისაკენ). გამარჯვება, სახელი და დაფნის გვირგვინნი მარადის თან ჰყვებოდეს იტალიის ლაშქარს. ჩვენი მოვალეობაა მივუძღვნათ თანაგრძნობა და ნუგეში ჩვენს ძმებს, რომელთაც ყველა სხვა ადგილის მცხოვრებლებზედ მეტი უბედურება დაატყდათ თავს სასტიკ მტრისაგან (ყველა ფეხზე ადგომით სალამს უძღვნის პოლონელ კოლოს წევრებს). ისინი მოშორებულნი არიან თავიანთ საცხოვრებელ სახლ-კარს, სულ მთლად განადგურდნენ, მაგრამ კვლავ ერთგულნი არიან თავიანთ დედა—რუსეთისა და გაორკეცებულის ძალ-ღონით ჰშველიან, სადაც კი შეუძლიათ, ჩვენს სახელოვანს ლაშქარს. ჩვენი მოვალეობაა აღვნიშნოთ ეს მოქალაქეობრივი ღირსება და უთხრათ ჩვენს ძმებს, რომ დღევანდელმა უბედურებამ და ომის საშინელებამ უფრო ძალიან გადაგვაბა ერთმანეთს და რომ ყოველივე ძალ-ღონით უშველით მთავრობას, რომ მან შესძლოს და დაგვავიწყოს ატანილი ტანჯვა და მწუხარება (ტაში). ეს ომი მხოლოდ ჯარების შეტაკებას კი არ წარმოადგენს, იგი მძლავრად მოითხოვს მთელი ჩვენი ერის მძლავრად მონაწილეობის მიღებას და მხოლოდ მის საერთო და ძმურ-შეჯგუფულს და მოფიქრებულ მუშაობას შეუძლიან მიანიჭოს ჩვენს მხედრობას გამარჯვება გაკადნიერებულ მტერზედ. წმინდა რუსეთი ერთი სურვილით იყო მთელი ეს ერთი წელიწადი გამსჭვალული—ეს სურვილი აყო ცხოველი, განუყრელი კავშირის დაჭერა ჯართან, რომელიც ხალხში ჰპოვებს თავის გამამხნევებელ ძალას. ჩვენმა საზოგადოებრივმა ძალებმა, არსებულ უფლებათა ფარგლებში მოიმოქმედეს ყოველივე შესაძლებელი და აკი ტახტის მპყრობელმაც ცნობილ სიტყვებით დასდვა ფასი... (გამოტოვებულია) და არ შეგვიძლიან სიამაყით დ კმაყოფილებით არა ვსთქვათ, რომ ამ ძნელსა და პასუხსაგებელ დროში საზოგადოებრივმა ძალებმა და მათმა მოწყობილობამ მშვენიერი ფურცლები ჩაიწერა თავის ისტორიულს არსებობაში (ისმის „ვაშა" და ტაში). მაგრამ ეს აღმაფრთოვანებელი, მხნეობა და სიყვარული სამშობლოსადმი ჯერ კიდევ ძალიან მცირედს წარმოადგენს და საკმარისი არ არის. ომის მოთხოვნილებანი და სიძნელე საქმისა თანდათან იზრდებიან და ტახტის სიმაღლიდან კვლავ გაისმა მოწვევის ხმა უფრო გაძლიერებულ შრომისა და მსხვერპლისათვის.

ჩვენი მოვალეობაა არ დავიშუროთ არც ძალა, არც დრო და არც არავითარი საშუალება და დაუყონებლივ შეუდგეთ მუშაობას. დე ყოველმა ჩვენთაგანმა გამოიღოს და შესწიროს რითაც კი ხელი მიუწვდის, რაც შეუძლიან ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდ. ჩვენმა არმიამ და ფლოტმა უკვე გვიჩვენეს მაგალითი წმინდა მოვალეობისა, მათ შეასრულეს, რაც შეეძლოთ, როგორც ადამიანთ. დადგა ჩვენი დრო და დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებული საზოგადო ძალები არაფერს არ დაიშურებენ, და მიაწვდიან არმიას ყველაფერს, რაც კი მას ხელს შეუწყობს ახალ საგმირო საქმისათვის. (ხანგრძლივი ტაში) საჭიროა მასთანვე შეიცვალოს თვით სული არსებულ სისტემის მართვა-გამგეობის (ხანგრძლივი ტაში, „მართალია", „ვაშა"). მე მტკიცეთ მწამს, რომ ამ საშინელ დროს, განახლებული მთავრობა არ შედრკება დაიდოს საფუძვლად თავის მოქმედებისა საზოგადოების მიერ ნდობა. (ხანგრძლივი ტაში). ბატონებო! აი ის დიდი საკითხები, რომლებსაც ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ. არ დაივიწყოთ, თქვენ შრომაზედ არის დამყარებული დიდება დამოუკიდებელ და თავისუფალ რუსეთისა, წინააღმდეგ ჩვენ მოგველის მწუხარება და დამცირება. [illegible] არა, არა, დიდებული რუსეთი თავის დღეში არავის მონათ არ გახდება. (ხანგრძლივი ტაში) რუსეთი მანამდის იბრძოლებს, სანამ საზიზღარ მტერს არ გაანადგურებს (ხანგრძლივი ტაში და „ვაშა"-ს ძახილი). მტერი განადგურდება და მხოლოდ მაშინ შეიძლება ზავის ჩამოგდება. (ტაში). ძირს არა საჭირო ეჭვები! ჩვენ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ ჯარის კაცამდე! ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი და გვწამდეს რუსის გმირის სიმამაცე (ხანგრძლივი ტაში) ჩვენ გვწამს წმიდა რუსეთო შენი დაუშრეტელი სულიერი სიმდიდრე! დაე ეს რწმენა მოეფინოს რუსეთის დიდებულ მხედრობას და ფლოტს, ეს გამამხნევებელი ხმა მთელი რუსეთისა, იცოდენ მათ ჩვენი ჯარის და ფლოტის დამცველებმა, რომ მჭიდროდ და ერთგულად შეკავშირებულ არმიასთან რუსეთი მტრის შემოტევას დაუპირდაპირებს თავის შვილების ფოლადისებურ გულს. (ხანგრძლივი ტაში, ხმები „ვაშა"). აქ ჩვენ შორის იმყოფება რაინდი სარდალი, ეს მამაცი და პატივცემული გენერალ-ადიუტანტი რუზსკი, და ბევრი სხვაც. (საერთო ტაში, ხმები „გაუმარჯოს გენერალ-ადიუტანტს რუზსკის, გენერალ-ადიუტანტი რუზსკი თავს უკრავს სახელმწიფო საბჭოს წევრებს).

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:** ბატონო სათათბიროს წევრნო! ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ებრძანა ჩემთვის მოგმართოთ თქვენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელით რომ მოგილოცოთ და გისურვოთ მომავალ საპასუხისმგებლო და საკანონმდებლო მუშაობაში გამარჯვება დიდებულ რუსეთის საკეთილდღეოდ". (ამ სიტყვების შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს წევრნი დგებიან თავ-თავიანთ ადგილებიდან. ეროვნულ ჰიმნის გუგუნი გაისმის ზალაში).

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის წინადადებით ერთხმად დაადგინეს გაეგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი დეპეშა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე განაგრძობს: „ჩვენ მუშაობის განახლების დღე ჰხდება ზედ ომის გამოცხადების წლის თავზე, ომისაგან მოყენებულ ტანჯვა-ვაებამ გაიძულეს თქვენ თავი დაგენებებინათ სამსხაურისათვის, ზოგსა წითელ ჯვრის ადგილობრივ მოქმედებისთვის და ზოგს კიდევ საკუთარ საქმისთვის. შევხედოთ სიმართლეს პირდაპირ და გამოვტყდეთ, რომ ომი ხანგრძლივი იქნება და მოითხოვს სულ ახალ-ახალ ცდას და მსხვერპლს. გადაწყვიტა რა მთავრობამ შეუპოვრად მოქმედება, თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის საბოლოვო გზას დაადგეს საკანონმდებლო დაწესებულებათა თანხმობით (ხანგრძლივი ტაში). ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია თქვენი მოწვევა, რომ გაგაცნოთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა და თქვენთან ერთად გამოვიმუშავოთ ყოველგვარი საშვალება მტრის დასამარცხებლად. სამამულიშვილო ომის შემდეგ რუსეთს მზგავსი დღეები არ უნახავს. საშინელია, მკაცრი და მასთან გამანადგურებელი ეს ომი, რომლის მზგავსი ჯერ მსოფლიოს არ ახსოვს. ეს ისტორიული სიტყვები იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტისა თითქოს ჩვენ დროს ეკუთვნის. მაშინ მე-12 წელს რუსეთმა დიდი განცდის და ტანჯვის შემდეგ ახალი ასპარეზი და დიდება მოიპოვა. ბრძოლის მსვლელობა და მისი ბოლო ჯერ კიდევ დაფარულია ჩვენთვის, როგორც მთელი მსოფლიოსათვის. ამის მიუხედავად ჩვენ, როგორც ერთგულნი ჩვენი სამშობლოს ძლიერი წარსულისა, გვჯერა და გვწამს ბრწყინვალე მომავალი: დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ხომ წუთია ჩვენს ისტორიაში, რაიც გვავალებს ზე აღტაცებულ სულის სიმტკიცეს! ომმა ჩვენ დაგვანახვა, რომ ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვიყავით მომზადებულნი, ვიდრე ჩვენი მტრები. ჩვენთან ვერაგულ დამეგობრების დროს მან მთელი დრო მზადებას მოანდომა და ხელსაყრელად იხელთა დრო თუ არა, უმალ თავს დაგვეტყდა მთელი თვისი ძალღონით და უაღრესად გაუმჯობესებული ტეხნიკით. და არა თუ ჩვენ, თვით ჩვენი მოკავშირენიც კი, ვინც ასე რიგად განათლებულნი არიან და ჩვენზე წინ წასულნი სამრეწველო და ტეხნიკის სფეროში, მოულოდნელობის გამოისად აბნევით შეჰხვდნენ ამ მძვინვარე გამოლაშქრებას. რაც დღემდინ გავაკეთეთ არა კმარა. საჭიროა ახალი ძალის მოკრება. მეფის სიტყვით დღეს ყველას აქ მოუწოდეს. კანონპროექტების შედგენა, მშვიდობიან ცხოვრების გაუმჯობესობანი, მხოლოდ შემდეგი საკითხია. თუ დღემდინ არ მივვიმართნია ასეთს საშვალებისთვის, ეს ერთხელ კიდევ იმასა მოწმობს, თუ რაოდენი ძალა გვქონია ჩვენ. მეორე კანონპროექტი, რაიც ომმა გამოიწვია, ჩვენ გვამტკიცებს ხანგრძლიობისათვის და ბევრს რამეს გვეუბნება სახელმწიფო ბანკის საემანსიპაციოდ. მესამე კანონპროექტი კი მიზნად ისახავს ერთს დაწესებულებად გარდაქციოს საკანონმდებლო კრებები, საზოგადო დაწესებულებანი, სამრეწველო დაწესებულებანი, რათა თანხმობით ვიმუშაოთ არმიისა და ჩვენი ქვეყნის განსამტკიცებლად. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თუ რა ნაყოფი მოაქვს საზოგადო ძალთა მოწოდებას თავდაცვის საქმეში. აი, ეს გარემოება აიძულებს მთავრობას უფრო ფართედ და მტკიცედ შედუღდნენ სამშობლოს ძალები, რათა უზრუნველჰყონ სამხედრო მასალები და ჩვენს ლაშქარს მით გაუმაგრონ ზურგი. ამ დღეს, ბატონებო, სხვა ნაყოფიერი დანიშნულება ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ უნდა ღირსნი გავხდეთ ჩვენი ძლევამოსილი ლაშქრისა. (ხმები „ვაშა, ვაშა")...

დღეს-დღეობით საპროგრამო სიტყვებისთვის დრო არ არის. რუსეთის მშვიდობიან ცხოვრების მოწესრიგებას სხვა დროსაც მოვასწრობთ. მხოლოდ ერთს საკითხს შევეხები, რაიც ჩვენს შინაურ საქმეთა და ომის საზღვარზეა წამოყენებული. ეს გახლავთ პოლონეთის საკითხი. რა თქმა უნდა, მისი გადაჭრა საბოლოოდ მხოლოდ ომის შემდეგ შეიძლება. დღეს კი პოლონეთი მოელის გერმანელთა მძიმე უღლიდან განთავისუფლებას. დღესაც პოლონელთათვის საგულისხმიეროა იცოდეს და სწამდეს, რომ მისი მომავალი მართვა გამგეობა დამოკიდებულია უმაღლეს მთავარ სარდლის სურვილისა და ნებისაგან (ხმები „ვაშა", „ვაშა"). მამაცი რაინდი, კეთილშობილი, ძმა და ერთგული პოლონელი ხალხი, ვინც ამ ომის გამო ამდენი უბედურობა განიცადა, ჩვენ გულში იწვევს მათდამი უსაზღვრო და გულწრფელ თანაგრძნობას (ტაში). დღეს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად მიბრძანა გამოუცხადოთ ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო, რომ მათმა უდიდებულესობამ უბრძანა მინისტრთა საბჭოს შეიმუშავოს კანონპროექტი პოლონეთის მოსაწესრიგებლად ომის გათავების უმალ. მას მიეცემა ავტონომიური გამგეობა [illegible] ხელმწიფის სკიპტრის ქვეშ. (ხანგრძლივი ტაში, ხმები: „ვაშა"). [illegible] ყველანი ერთი შრომისთვის, როგორც ამას მოგვიწოდებს ჩვენი თვითმპყრობელი. ვიფიქროთ მხოლოდ ერთს რამეზე: მტრის განდევნაზე ჩვენი სამზღვრებიდან და მის შერცხვენაზე ჩვენი ხელმწიფისა და სამშობლოს სადიდებლად! (ხმები „ვაშა" ტაში). ომის დასაწყისი აქ აღინიშნა აუწერელი ერთსულოვნობით და აღფრთოვანებით. დღევანდელ დღეს, მთავრობის აზრით, უფრო მჭიდროდ და ერთსულოვნად უნდა შევეგებოთ საერთო მორალს.

(შემდეგი იქნება)

# წერილები პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

თერთმეტი თვე შესრულდა, რაც მსოფლიო, შესაზარი, უმაგალითო ომი დაიწყო. თერთმეტმა თვემ განვლო, რაც ადამიანის სისხლით პოხიერდება ნიადაგი და ჰკვნესის მთელი კაცობრიობა, და არამც თუ ბოლო არ უჩანს ამ ომს, იმის თქმაც კი გასაჭირი ხდება, თუ როდის ჩააგებს ქარქაშში ხმალს ან ერთი და ან მეორე მებრძოლი სახელმწიფო.

ომის დაწყებისას კი მეომართ ისე სწამდათ თავიანთი სიძლიერე და უპირატესობა, რომ გერმანელთ, მაგალითად, იმედი ჰქონდათ, რომ ორ კვირაზე მოუღებდენ ბოლოს საფრანგეთს, მათს საზეიმო „სამხედრო გასეირნებას" წინ არაფერი გადაეღობებოდა და მეთუთხმეტე დღეზე საუზმე პარიზში უნდა მიერთმიათ (რესტორანიც კი იყო დასახელებული)... მაგრამ საუზმე გაუცივდათ. სწორედ ერთ მეგრულ ანდაზის მსგავსათ დაემართათ: ხორცი მოხარშული რომ იყო, ღომი მოზელილი და თვით სიძე, რომელსაც მოუთმენლად მოელოდენ, არსადა სჩანდაო.

რუსის ჯარი აქეთკენ საარაკოდ არის, ერთ უშველებელ სატკეპნელას (rouleeu) ადარებენ. აქაურების აზრით, საკმარისი იქნებოდა, აგორებულიყო ეს სატკეპნელა, ქვეშ მოეყოლებინა მთელი გერმანეთის ჯარი და რამდენი სიგრძე ჰქონდა, იმდენი სიგანე მიეცა, და ასე გორებ-გორებით ჩასულიყო თვით ბერლინამდე,

თვით აუჩქარებელი, ანგარიშიანი, დინჯი, შორსმჭვრეტელი ინგლისელებიც კი ამბობდნენ: დარდანელის სრუტეში აღდგომამდე შევიჭრებით და მუსულმანთა სატახტო ქალაქში, ნახევარ მთვარის მაგიერ, მოკავშირეთა დროშებს ავაფრიალებთო.

ბოლოს, ისა სთქვეს, იტალია გვაკლია, თუ ის მხარში ამოგვიდგა, მტერს თავბედს ვაწყევლინებთო. იტალიაც ჩაერია, აგერ თითქმის ორი თვეა იბრძვის მოკავშირეთა გვერდით, იბრძვის სწორუპოვარის მხნეობით. მაგრამ საერთო მტერი მოკავშირეთა განაგრძობს ბრძოლას,

სავალალოდ, ამდენი ხანი შეიქნა საჭირო, რომ დაენახათ ცხადად როგორც საფრანგეთსა, ისე სხვა მის მოკავშირე სახელმწიფოებში, თუ როგორ სცდებოდენ. როცა მთელი ევროპა მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკობდა, ყველას ეგონა, ანუ განგებ თვალებსა ჰხუჭავდა სინამდვილის წინაშე მსგავსად სირაქლემასი, ბუჩქში რომ თავს იმალავდა და ეგონა, არავინ მხედავსო. ამ დროს გერმანეთს ომის ატეხა გადაწყვეტილი ჰქონდა, ამისთვის იარაღს ისხამდა და უცდიდა ომის ასატეხ მიზეზს კი არა, არამედ იმ წუთს, როცა ყოველის მხრივ მზად იქნებოდა. მას მომავალ ომის ასატეხად საბუთები აუარებელი ჰქონდა.

გერმანეთის მიწაწყალზე ხალხი საოცარის სისწრაფით მრავლდებოდა, მათი ვაჭრობა-მრეწველობა ვითარდებოდა საოცარის სიჩქარით. მოჭარბებულ ხალხს ახალი ადგილები სჭიროდა, საქონელს—გასავალი და ბაზარი. იძენდნენ ახალშენებს აფრიკასა და სხვა კუნძულებ შორის ოკეანეზე. მაგრამ თან აშკარად თითქმის მოურიდებლად ამბობდნენ: [illegible] ლა შორს მივდივართ, როცა გვერდით გვაკრავს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა, ბელგია, მისი სავაჭრო პორტით—ანტვერპენით, საფრანგეთი, რუსეთი (ერ[illegible] ჟურნალში იყო ყოველივე ეს დაბეჭდ[illegible]ლი)... და მათის ნათქვამიდან ცხა[illegible] იყო, რომ საომრად ემზადებოდენ [illegible] თან, ომის შედეგი—გამარჯვებაც ს[illegible] ჭვოდ არ მიაჩნდათ. როცა ამ ქვეყნებ[illegible] (თუ მთლათ არა, მათს ნაწილს მაინც)

დაიპყრობდენ გერმანელნი, მერე შემდეგი ნაბიჯი უნდა გადაედგათ: შეჰბმოდენ მარტოდ დარჩენილს ინგლისს. ინგლისის დამარცხებაც მათთვის ეჭვს გარეშე იყო. ამნაირათ, თითქმის მთელი ევროპა ერთ მთლიან გერმანეთად უნდა გამხდარიყო ან, როგორც თვითონ გერმანელნი იძახდენ—და დღესაც იძახიან—Deutschland uber alles, ე. ი. გერმანეთი ყველას ბატონად უნდა გამხდარიყო.

ყოველი მზადება გერმანეთში სისტემატიურად, შეუწყვეტლივ ხდებოდა, თანაც ჩუმათ. მაგ., საფრანგეთის გამოანგარიშებით გერმანეთს, თუ ვინიცობაა ომი ატყდებოდა, მის წინაამდეგ მხოლოდ 25 კორპუსის გამოყვანას შეიძლებდა. მაგრამ 1914 წლის მობილიზაციის დროს ივლისში გერმანეთმა საფრანგეთს მთელი 50 კორპუსი ჯარი დაუპირდაპირა! ომის დაწყების მესამე-მეოთხე თავიდანვე დაიწყეს გაზეთებმა ლაპარაკი: გერმანეთს ტყვია წამალი შემოელია, საჭმელი პური არა აქვს, და ჩვენის მხრით საკმარისია, გავმაგრდეთ, რომ მტერი შიმშილმა გაწყიტოს და თითი მოიკაკვნოსო... მხოლოდ ახლა ირკვევა, რომ ეს ხმები თვით გერმანელების-მიერვე იყო განგებ გავრცელებული. ...რათა მოკავშირეთ ჰგონებოდათ, რომ ...ტერი დასუსტებული ჰყავდათ და ამი...ომ ნაკლები თავდარიგი დაეჭირათ. ...ოლოდ ახლა, თერთმეტი თვის შემდეგ ...კვევა რომ გერმანეთს მტრის გულისა ...ფერი სჭირვებია, ჯერ-ჯერობით ...ნც. ყველანი აშკარად აღიარებენ, ...ომ გერმანელთ ტყვია-წამალი თავსაყ...ელი აქვთ, ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ შეუძლიათ მთელის დღეების განმავლობაში უშველებელ ზარბაზნების ყუმბარები წვიმასებ აწვიმონ მტრის ბანაკს, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტებზე. მათი მძიმე არტილერია ხომ ცნობილია საყოველთაოდ. ცნობილია აგრედვე რიცხვითი უპირატესობა მათის მიტრაიოზებისა, რომელთაც მძიმე არტილერიაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ. ომის დაწყებისათანავე გერმანელთა მიტრაიზებმა მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენა.

საპოზიციო ბრძოლაში მიტრაიოზა პირდაპირ რისხვაა მოწინააღმდეგისათვის. „ფრანკფურტის გაზეთის“ სიტყვით, როცა გერმანელები პარიზზე მოდიოდნენ, ინგლისელთა ერთი ბატალიონი ქ. კამბრეს ახლო თითქმის განადგურებულ იქნა ერთად-ერთის მიტრაიოზის საშუალებით. ერთ ალაგას ერთად-ერთ ვერსის ფრონტზე გერმანელთ 21 მიტრიაოზი ჰქონდათ.

დღეს, როგორც „Daily Chronicle“-ის კორესპონდენტი მოწმობს, მთელი ინდუსტრია გერმანეთისა სამხედრო მასალების მზადებას უნდება. სამხედრო დისციპლინა არის გამეფებული ყველა ქარხანაში. როდესაც მთავრობა ამა თუ იმ ქარხანას შეუკვეთს რასმეს ჯარისათვის, პირობაში განსაზღვრულია ის ქირაც, მუშას მექარხნემ რომ უნდა აძლიოს. ასე რომ უთანხმოებას მუშასა და მექარხნეს შორის ადგილი არა აქვს, ყოველი გაფიცვა წინდაწინვე აცილებულია. თუ მუშა ერთგულად არ ეკიდება საქმეს, მაშინვე ფრონტე გაგზავნა მოელის. მუშაობა დღე და ღამ მიდის განუწყვეტლივ. თუმცა ყოველი ნაბიჯები გერმანელთა ჯარისა იმას ჰმოწმობს, რომ სამხედრო მასალა გამოულეველი აქვს, მაგრამ ქარხნები მაინც განუწყვეტლივ ამზადებენ ახალ-ახალ მასალას.

თერთმეტი თვის გამოცდილებამ აშკარად დაანახვა ფრანგებს, თუ რა საშინელ ომს უნდა გასცენ პასუხი. საფრანგეთის ჯარის მთავარსარდალმა ჟოფრმა ამ სამ თითომარცვლოვან სიტყვებით დაახასიათა თანამედრო ომი: long, dur, sûr (გრძელი, ძნელი, უეჭველი), ე. ი. ომი დიდს ხანს გასტანს, მძაფრი იქნება, მაგრამ გამარჯვებით მაინც გავიმარჯვებთო. ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ყოველ ფრანგს გულისფიცარზე აქვს დაჰდეული. საფრანგეთში ყველა, დიდით პატარამდე, ქალით კაცამდე სამშობლოს სამსხვერპლოსა სწირავს ყოველსავე, რაც აბადია: თავის ქონებას, ცოდნას, ჯანს, სიცოცხლეს. თანაც იცის ყველამ, რომ ამ მსხვერპლს აუნაზღაურებს მხოლოდ მტრის დამხობა და ზავი ხანგრძელი.

დღეს საფრანგეთში არავინ ამბობს, მტერი დასუსტებულია და ომი რამდენიმე თვეში გათავდებაო. ომი ამ ზამთარს და შეიძლება მომავალ ზაფხულსაც არ გათავდესო. ყველანი ცდილობენ წარსული შეცდომები გაისწორონ, დაემზადნენ ისე, რომ მტერს გაასწრონ. მთავრობა აარსებს სამხედრო მინისტრის სამს თანაშემწის თანამდებობას, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა იზრუნონ მხოლოდ ჯარისთვის საჭირო მასალის დამზადებისთვის. ჯარის სიმრთელისა და მის უზრუნველყოფისათვის. ახალი არჩეული სუ-სეკრეტარნი ალბერ ტომასი, ჟეესტენ გოდარი და ჟოზეფ ტიერი ყველას ღირსეულ თანამშრომლებად მიაჩნია სამხედრო მინისტრის მილერანისა. ქარხნები დღედაღამ მუშაობენ სამხედრო მასალის დასამზადებლად და იმედი აქვთ, მოკლე ხანში იმდენი დაამზადონ, რომ აქაც ეყოთ და მოკავშირე რუსეთსაც მიაწოდონ ზედმეტი.

ინგლისშიაც საერთო აზრი ის არის, რომ მტერზე მაშინ გავიმარჯვებთ, როცა იმაზე მეტს ტყვია-წამალს და თოფ-იარაღს დავამზადებთო. აქაც პალატა ერთ ხმად აწესებს შეიარაღების სამინისტროს. მთელი არმია, 46,000 კაცისა და ორამდენ ქალისაგან შემდგარი, მასალას ამზადებს. ამავე გზას დადგომია, როგორც ტელეგრამებმა გვაუწყეს, რუსეთი.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა, ეგრედ წოდებულ შხამიან ბოლის ხმარების შესახებ. ამ გაზის ხმარება პირველად გერმანელებმა შემოიღეს. ასეთის საშუალების ხმარება ომის დროს წინააღმდეგი იყო გააგიის კონფერენციისა. მთელმა ევროპამ დაჰგმო გერმანელთა საქციელი, როგორც სასტიკი. გერმანეთში ამ გაზის ხმარება სასირცხვილოდ კი არ მიაჩნიათ, პირიქით, ადამიანის სიბრალული გვაქვს სარჩულათო, ტკბილი მეტოდია ომისაო.

როგორც საფრანგეთსა, ისე ინგლისში, კარგახნის ყოყმანის შემდეგ იმ გზას დაადგნენ, რომ მტერთან ბოდიში საჭირო არ არის, ჩვენც იმავე იარაღით უნდა ვებრძოლოთ, რა იარაღითაც ჩვენს დათრგუნვას ლამობსო. საფრანგეთში სენატის სხდოსაზე, 30 (17) ივნის, სამხედრო მინისტრმა მილერანმა გერმანელთა მიერ ხმარებულ მეტოდის შესახებ, სხვათაშორის, სთქვა: „რაკი ჩვენმა მტრებმა გააუპატიურეს ომი, დაე იცოდნენ, რომ ჩვენ ჩვენის შვილების დასაცავ-დასაფარავად კრიჭაში ჩაუდგებით და ჩვენც იმავ საშუალებით ვებრძვითო. საპიორთა დირექციასთან დავაარსე განყოფილება შხამიან ბოლისა. ერთად ითანამშრომლებენ ტეხნიკოსები ჯარისა და მსწავლულნი უნივერსიტეტისა და ინსტიტუტისა. საზოგადოება დიდი ხანია მოელოდა, რომ მთავრობა ამ გზას დაადგებოდა და ღირსეულ პასუხს გასცემდა მტერს და დაანახვებდა, რომ ნამდვილის სიცილით ის გაიცინებს, ვინც ბოლოს გაიცინებსო.

ომიანობის ამ საერთო მიმოხილვის შემდეგ ვეცდებით „საქართველო“-ს მკითხველს ცალ-ცალკე გამოველაპარაკოთ ფრანგთა ცხოვრების ამა თუ იმ მვლენის შესახებ.

**თ. სახოკია.**

# ახალი ამბავი

**კიპრიზოვის დასაფლავება.** 19 ივლისს ცნობილ ქველმოქმედის სოლომონ კიპრიზოვის გვამი, წირვისა და წესის აგების შემდეგ ხარფუხის ბერძენთა ეკლესიაში, დაკრძალულ იქნა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. მწირველი ბძანდებოდა სამღვდელოების თანამსახურებით, გორის ეპისკოპოსი ანტონი, რომელმაც წირვისა და წესის აგების შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ეკლესიიდან მიცვალებული გაასვენეს სურფსარქისის ქუჩით და იმ სახლის წინ, რომელიც თავის სიცოცხლეში უანდერძა მან „განათლების“ საზოგადოებას, მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდილი. აქვე „განათლების“ საზოგადოების სახელით და მინდობილობით სიტყვა წარმოსთქვა ვ. ა. ბურჯანაძემ. ამის შემდეგ პროცესია გაემართა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოსაკენ, საცა მიცვალებულის გვამი მიწას მიაბარეს. წირვასა და დაკრძალვას დაესწრნენ „განათლების“ საზოგადოების გამგეობა და წევრნი, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრნი, ქართველი მოღვაწენი და სხვანი. ჰგალობდა ბ-ნ მ. კავსაძის მგალობელთა გუნდი. წირვის დროს ეკლესიაში შემოვიდა დარაჯების თანხლებით, განსვენებულის შვილი, რომელიც, როგორც ვწერდით, ეჭვით არის დაპატიმრებული. შვილმა იტირა მამა, გამოეთხოვა მას და უკანვე დაბრუნდა. ამ სცენამ ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

**ბ-მა პოლიცმეისტერმა** ბრძანება მისცა ბოქაულებს, რომ თუ სადმე გადამდებ სენით ვინმე ავადმყოფი აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ ექიმისა და ორი კაცის თანადასწრებით დაათვალიერეთ იგიო. ავადმყოფი მაშინვე განშორებულ უნდა იქნეს კარგადმყოფებისაგან და ექიმი სწამლობდეს მასო. ყოველივე ამგვარი შემთხვევა უნდა ეცნობოთ საგუბერნიო გამგეობას და გუბერნატორსო.

**ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.** სახელმწიფო ძირითად კანონების მე-87-დე მუხლის ძალით ამიერ კავკასიის საერობო ხარჯთაღრიცვა 1915—1917 წლისა უმაღლესად ხელმოწერილია.

**ლექციის წაკითხვა.** 19 ივლისს, დილის 12 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში ხოლერის შესახებ ლექცია წაიკითხა ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა. ლექტორმა აღნიშნა საზოგადოდ ხოლერის გაჩენისა და გავრცელების მიზეზები. შემდეგ ლექტორი შეეხო-რა ხოლერის გაჩენას თბილისში, ის აზრი გამოსთქვა, რომ წელს თბილისში ეპიდემიური ხასიათი არ აქვს ხოლერასო და აღნიშნა ის ღონისძიებანი, რომელნიც საჭირონი არიან სენთან საბრძოლველად. თუმცა ლექცია უფასო იყო და მასთან საინტერესოც, მეტადრე დაბალ ხალხისათვის, მაგრამ ბევრი ხალხი არ დასწრებია.

**წარმოდგენები პროვინციაში.** ბათომის კომენდანტმა ნება დართო მსახიობს ვასო ურუშაძეს რკინის გზის თეატრში ქართული წარმოდგენები გამართოს. ბ-ნი ურუშაძე პირველ წარმოდგენას გამართავს 25 ამა თვეს. საქმე თუ რიგიანად მოეწყო, ბ-ნი ურუშაძე თავისი დასით შეიძლება მთელი ზაფხული დარჩეს ბათომში,

**ხოლერის ნიშნები.** ლაზარეთში № 40 ხოლერის ნიშნებით 80 კაცია მაყვანილი. ნამდვილ ხოლერიანი გუშინ 6 კაცი იყო ლაზარეთში. ხოლერიანი სამი კაცი წინად გარდაიცვალა.

**გადამდები სენი.** გუშინ ქალაქის თავშესაფარში იწვნენ: ქუნთრუშიანი 4, ყვავილიანი 4, საოფლიანი 3 და მუცელაში 3 კაცი.

**სამკურნალო უწყების გამგეობა** სთხოვს ბ-ნს თბილისის გუბერნატორს დააწესოს თვალყურის დევნება ხოლერის მხრივ საეჭვო ადგილებიდან მომსვლელებზე, როგორც, მაგალითად, მდ. ვოლგისა და დნეპრის მიდამოებიდან და ჩრდილო კავკასიიდან. ამასთანავე რადგან ბაქტეოროლოგიური გამოკვლევით დამტკიცდა, რომ თბილისში [illegible] არის ხოლერის ნიშნები, კანონიერი ღონისძიებანი მიიღეთ მის მოსასპობლადო.

**თავ. ი. აბაშიძის დაშავება.** კარგად ცნობილი გოლოსნჩელისტი თავ. ილია აბაშიძე კავკავიდან თბილისს მოდიოდა. მლეთსა და ფასანაურს შუა ავტომობილი გადაბრუნდა და მგზავრებს ხრამში გადაცვივდნენ. თავ. აბაშიძე შესამჩნევად დაშავდა: მას სისხლმა დაუწყო დენა ყურებიდან, ცხვირიდან და პირიდან.

**მეგობრული სადილი.** 18 ივლისს თავად-აზნაურთა ერთმა ჯგუფმა „ედემის“ ბაღში სადილი გაუმართა ბრძოლის ველიდან თბილისში დროებით ჩამოსულს, წმ. გიორგის კავალერს, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერს თავ. დ. ზ. ჭავჭავაძეს, რომელმაც ომის დაწყებისას საქვეყნოდ ისახელა თავი თავისი გმირობით დასავლეთ ფრონტზე ბრძოლაში. სუფრის თავჯდომარედ იყო თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. სადილზე წარმოითქვა მრავალი, გრ-ნობით აღსავსე სიტყვა. ამასთანავე დამსწრეთ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ფრონტზე მყოფთ თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშლს თავ. კ. ნ. აბხაზს, წმ. გიორგის კავალერს ღენ. ვ. დ. გაბაშვილს და პოლკოვნიკს თავ. ჭავჭავაძეს. აგრეთვე ცოცხალი ვარდების თაიგული გაუგზავნეს მეგობარ-სტუმრის დედას კნ. მ. დ. ჭავჭავაძისას. სადილი მხიარულად დასრულდა.

**ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი გუშინ გაემგზავრა სარიყამიშს, საცა რევიზია უნდა მოახდინოს ქალაქთა კავშირის დაწესებულებებში. სარიყამიშიდან ბ-ნი ხატისოვი წავა საექიმოდ.

**ქალაქის გამგეობის წევრი** ა. მ. არღუთინსკი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, თბილისს დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

**წყლით სარგებლობა.** როგორც ვიცით, რაც ეს ზაფხული დადგა, ისე როგორც საზოგადოდ ყველა ზაფხულში, წყლის დიდი ნაკლულევანებაა თბილისში. ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ ქალაქის წყალსადენი საკმაო წყალს არ იძლევა, იმითაც აიხსნება, რომ სიცხეებისა გამო წყალი ბევრი იხარჯება დღით, ხოლო ღამით კი აუზები და მილები სავსეა წყლით. ამის გამო გამგეობის წინადადებით ქალაქის საბჭომ დაადგინა,—ღამ-ღამობით წყლის გასასყიდი კრანი მოქმედებდეს და მსურველთ 10 ვედრა წყალი მიეცესთ 1 კაპეიკად.

**ქალაქის გამგეობამ** თხოვნით მიმართა სათანადო დაწესებულებათ, წარმოადგინონ სიები 1896 წ. მამრობითი სქესის დაბადებულთა, რადგან ისინი მომავალ 6 აგვისტოს უნდა გამოცხადდნენ ჯარში ჩასაწერად.

**გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ** ნაცვლად შვიდისა, როგორც ქალაქის საბჭოს მიერ იყო დადგენილი, 8 უბნად დაჰყო თბილისი, საცა ხმოსნების არჩევნები უნდა მოხდეს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საარჩევნო სიების გადასწორებას შეუდგა.

# კეთილშობილ მეზობლის ხსოვნას

კვირას, 19 ივლისს, დიდის პატივით დაასაფლავეს ვერაგულად მოკლული სოლომონ კიპრიზოვი, ის ბერძენი კიპრიზოვი, რომელმაც ორი-სამის კვირის წინად თვისი უხვი შეწირულებით (40 ათას მან. ღირებულ მამულით) მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ყველა შეგნებულ ქართველისთვის ძვირფას შენობას,—ქალთა სამასწავლებლო სემინარიას.

მიუხედავად იმისა, რომ კვირას ცხრა თვალა მზე სწვავდა თბილისის არემარეს, მაინც კიპრიზოვის დასაფლავებას დაესწრო თითქმის ყველა ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელი და მრავალი პატივისმცემელი.

მართლაც ჩვენთვის მრავალ მხრივ საყურადღებოა, საგრძნობელი და ამიტომ პატივსაცემი განსვენებულ კიპრიზოვის ჩვენი მხარისადმი კეთილშობილური საქციელი. იგი თურმე ამბობდა ხოლმე: პატარაობიდანვე საქართველოში,—ამ ჩემ მეორე სამშობლოში ვარ აღზრდილი, აქვე მაქვს ამოდენა ქონება შეძენილიო და ჩემი შეგნება და სინიდისი მიბრძანებს, ერთი ნაწილი მაინც ჩემის ქონებისა მადლობით დავუბრუნო ამავე მხარის კულტურულ დაწესებულებასო.

განსვენებულ კიპრიზოვს თურმე მიზნად ჰქონდა მეორე უხვი შეწირულება ერთ-ერთ ჩვენი კულტ. დაწესებულების სასარგებლოდ, მაგრამ, ეტყობა, გაუგეს იმათ, ვისთვისაც ეს სასარგებლო არ იქნებოდა და ვერაგულად სიცოცხლეს გამოასალმეს მოხუცებული ადამიანი.

მიცვალებულს უწირა და ანდერძი აუგო ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ეპისკოპოსმა ანტონიმ, რომლის კრებულს შეადგენდა: არქიმანდრიტი პიროსი, ბერძენთა არქიმანდრიტი, სიონის მთავარდიაკვანი სალარიძე და მრავალი სასულიერო პირი. მთელ ამ კრებულისავე შემადგენლობამ მიცვალებულის ცხედარი გააცილა სამარის კარამდე.

წირვის გათავებისას მეტად საყურადღებო და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად-სამღვდელო ანტონიმ, რომელმაც მოუწოდა ქართველ საზოგადოებას გულში ღრმად აღებეჭდა იმ უცხო ტომის წარმომადგენლისაგან უხვად გაღებული ძმური შემოწირულება დიად ქართულ კულტურულ საქმისათვის. განსაკუთრებულ პატივის ცემას განსვენებულის ხსოვნისადმი მოითხოვდა ქართველ დედისაგან. შენ, ქართველო დედავ,—სთქვა დაახლოვებით პატივცემულმა ეპისკოპოსმა,—დიდად მძიმე და საპასუხისაცემო მოვალეობა გაწევს ჩვენებურ ოჯახის და საზოგადოების წინაშე: შენი ნორჩი შვილი, შენსავე მკლავზე პირველად რომ თვალს გაახელს, შენ შემოხედავს და იმ დღიდან მოყოლებული, შენს შეგნებაზე და უნარზეა დამოკიდებული, ფიზიკურ აღზრდასთან ერთად, სულიერადაც ისე აღზარდო შენი შვილი, რომ იგი შეიქმნეს სასარგებლო წევრი არამც თუ თვისი კერძო ოჯახისა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისა. როდის აღზრდის ჩვენებური დედა ასეთ შვილს? მაშინ, როცა თვით იქნება ჯეროვან ნიადაგზე აღზრდილი და გონება განსპეტაკებული. სწორედ ასეთ შეგნებულ ქართველ დედების აღსაზრდელად გაიღო უხვი შეწირულება განსვენებულმა სოლომონ კიპრიზოვმაო.

საყურადღებო სიტყვები წარმოსთქვეს აგრედვე საზ. „განათლებისთვის“ შეწირულ სახლის წინ, ამავე საზოგადოების წარმომადგენელმა ბ. ვ. ბურჯანაძემ და სამარის წინ—ბ. ი. იმედაშვილმა.

განსვენებულ სოლომონის მახლობლებმა გადმოგვცეს, რომ იგი ყოფილა მეტად შრომის მოყვარე და ამასთანავე ხელ მოჭყრილი კაცი: იგი სხვაში თუ არ ხედავდა საქმის უნარს და საერთო სარგებლობას, კაპიკსაც არ გაიღებდაო. თუმცა იგი, ჩვენ დროში მიღებულ ზომით არ ყოფილა [illegible], მაგრამ გადაკითხვით [illegible] ძველი და ახალი მწერლობა.

ერი კეთილი სიტყვით მოიხსენებს და პატივსა სცემს ხსოვნას იმ უცხო ადამიანისას, რომელმაც ეს ერი შეიყვარა, პატარა საქართველო თავის სამშობლოდ გაიხადა და მადლობა გადაუხადა მას.

**ვ. ა—ციხელი.**

# გერმანელთა თავდაცვის „მექანიკა“

ის უზარმაზარი ძალები, რომელთაც გერმანელები თავს უყრიან ერთს ფრონტზე აქტიურ მოქმედებისათვის; უეჭველია, იკრიბება სხვა და სხვა მეორე ხარისხოვანი ბრძოლის პირისაგან. ახლა საკითხი ის არის, თუ როგორ ჰხდება, რომ გერმანელები შესუსტებულ ბრძოლის პირზე მაინც ახერხებენ ასე ვსთქვათ, „ცოცხალი ძალის“ შენარჩუნებას, ან თვით იერიშის დროს რატომ ჰხდება, რომ ცოცხალი ძალა ადვილად ხელიდან არ ეცლებათ? აი, ამ კითხვის საპასუხოდ უნდა თვალი გადაავლოთ თვით ბრძოლის საშუალებას, განსაკუთრებით იმ იარაღს, რასაც ჩვენი ჯარისკაცები მოკლედ „მექანიკას“ უწოდებენ. ამ მექანიკაში ჯარისკაცები ჰგულისხმობენ ტეხნიკურ ყოველგვარ საშუალებას, თვით მოშხამულ გაზებსაც კი. ათასჯერ რომ აუხსნათ გაზის ქიმიურ შედგენილობა, ანუ ანტაგოზის, ე. ი. გაზის საწინააღმდეგო საშუალება, ჩვენი ჯარისკაცები მაინც ძველი რწმენით რჩებიან და ყოველთვის ქებით იხსენიებენ მტრის გონების მახვილობას ამგვარი „მექანიკის“ გამოგონებისთვის.

ახლა გავნიხილოთ, რა „მექანიკაა“ ეს „მექანიკა“ და როგორ ჰმოქმედობს იგი ბრძოლის დროს. . . . . . .

. . . . . . . .

. . . . . . . .

ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ ახლავე განვაცხადო, რომ ჩემი დაკვირვებანი გამოტანილი მაქვს ბრძოლის უახლოეს ადგილიდან, სადაც თვით მე მიხდებოდა მოქმედება. ეს შედარებით მეტად მცირე მანძილია ბრძოლის მთელ ფრონტთან შედარებით და გერმანელთა „მექანიკასაც“ მთელ თავის სიძლიერით ვერ შეეძლო თავისი ძალის გამოჩენა. ისიც უნდა ვსთქვა, რომ „მექანიკას“ უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ უთქვამს და დღეს თუ არა ხვალ მაინც მოგვაჩვენებს ახალ მეხანიზმს, რომ კარგა შორს მანძილზე გადმოგვასხან ადუღებული სითხე, ააელვარონ და აანთონ ნასროლი ტყვიები, ანდა ათასი სხვა რამ ბრძოლის საშუალებანი და ეშმაკობანი მოიგონონ.

ჩვეულებრივ ბრძოლის ველზე რამდენიმე ხაზი გავლებულია ხოლმე გერმანელთა თხრილებზე. თვითეული თხრილი დაფარულია ყოველგვარი საშუალებით გაუმჯობესებული იარაღით. შიგ მყოფთ ყოველისფერი აქვთ, რაც კი საჭიროა მათთვის. პირველი ხაზის წინ ზიგზაგად გავლებული აქვთ ეკლიანი მავთულები, ოთხ-ხუთ ხშირად ათსა და მეტ რიგად. ადგილ-ადგილ წვეტიანი პალოები და მარგილები აქვთ დარჭობილი. ყველა ეს ეკლები, მავთულები, ერთმანეთში ისე ეშმაკურად არის გადახლართული, რომ ადამიანი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ადგილ-ადგილ მოუხმარებიათ ფუგასები. აი ის ქვის გაუვალი კედელი, რომელიც „ჩვენ“ და „მათ“ ერთმანეთისგან გვყოფს. ამ კედელთანავე საკმაოდ უდგიათ სუბუქი თუ მძიმე არტილერია. ეს უკანასკნელები დღეში ერთხელ ან ორჯელ მაინც გაგვახსენებენ ხოლმე, ჩვენც აქ ვბრძანდებითო. პირველნი კი, თუმცა სუბუქნი არიან, მაგრამ უაზროდ არ იციან უბრალოდ ტყვიების ფანტვა. თუ ისვრიან, უეჭველად განსაზღვრულ მიზნის მისაღწევად. ჩვენი ჯარისკაცები ცოტა არ იყოს პატივით არ იხსენიებენ ამ სუბუქ იარაღის ახმაურებაზე: „აი, მოჰყვა ახლა თავისებურად რწყევას“,—იტყვიან ხოლმე მათს ახმაურების დროს. თხრილების გასწვრივ ფარულ კუთხეებში უდგიათ მეოთხე ჯურის იარაღი,—ვკადნიერდები ასე დავახასიათო და ქება-დიდებით მოვიხსენიო მათი ტყვიისმფრქვეველები, რადგანაც მათ დიდი სამსახური გაუწევიათ და უწევს გერმანელებს და სულ განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ომის დროსა. „ტყვიისმფრქვეველი ტყვიისმფრქვეველზე, ტყვიისმფრქვეველი ტყვისმფრქვეველით ისვრის“, ანუ მათემატიკურად,

რომ ვსთქვათ ტყვიისმფრქვეველთა უკუ-პროპორციულია მსროლელთა რიცხვზე. თვითეულ მსროლელს უკანასკნელი თითო თითოდ მაინც უდგიათ იგი. საზოგადოდ ტყვიისმფრქვეველი გერმანელთა ხელში პირველ სკრიპკის როლს ასრულებს...

აქნობამდინ ჩვენ „ძველ მექანიკაზე" ვილაპარაკეთ. განსაცდელის დროს, ანუ როგორც ეს განსაცდელად მოგეჩვენებათ, გერმანელები უმალ მიჰმართავენ სხვა და სხვა ჯურის ყუმბარებს. უპირველესი ადგილი უნდა დავუთმოთ ყუმბარის მფრქვეველ მანქანას. ეს გახლავთ ერთგვარი დაზგა, რომელიც განსაკუთრებული იარაღით სტყორცნის ცილინდრიულ ყუმბარას, რომლის დიამეტრი სამს ვერშოკს უდრის, ხოლო სიგრძე ნახევარ არშინს. სიძლიერით ეს ყუმბარა არაფრით ჩამორჩება მსხვილი კალიბრის ზარბაზნის ტყვიას. ამგვარ ყუმბარებს აგრეთვე ნაღმსაც უწოდებენ. ერთხელ რო ისროლონ, მეორე გასროლამდე მიაყოლებენ სხვა ჯურის ყუმბარებს, რომელთაც ბატის კვერცხის მოყვანილობა აქვსთ. მათ ჩამოაცმევენ თოფის ლულაზე და გაუტენავი პატრონით ისვრიან ხოლმე. ასევე აღსანიშნავია თუჯის ყუმბარები, რომელთაც ამ ომის დროს ყველაზე მეტად ჰხმარობენ. მოწინავე სადარაჯო ადგილები ჩვეულებრივ ამ ყუმბარებს ისვრიან ხოლმე. . . . .

გერმანელებს დიდს სამსახურს უწევს „მექანიკა" ღამით თავდაცვის დროს, როცა საზოგადოდ საჭირო ჰხდება მეტი ხალხი თავდასაცველად. დღისით ერთი ჯარისკაცი სდგას ბინოკლით ხელში, რა თქმა უნდა, ფრიად მოხერხებულ ადგილას და მერე, რომ მას მტრის თვალი ადვილად ვერ შეჰნიშნავს. იგი ვრცელ მანძილზე თვალყურს ადევნებს მტრის მოძრაობას და ამა თუ იმ შეუმჩნეველი ნიშნებით ყოველთვის შეუძლიან აურ-ზაური ასტეხოს თუ რაიმე საეჭვო მოძრაობა შეამჩნია. მაგრამ იგივე როდია ღამით. ხალხი რო დაჰზოგონ და ზედმეტად არ მოჰქანცონ, (ღამ-ღამეობით მოწინავე რიგზე ყოფნა უაღრეს ძალას და სიფხიზლეს თხოულობს), გერმანელები ხელოვნურ განათებას მიჰმართავენ ხოლმე. მთელ ფრონტის გასწვრივ უდგიათ „უშველებელი" პროჟექტორები, ანუ, როგორც ახასიათებს ამას ჯარისკაცთა ტერმინოლოგია, გერმანელთა „ვეება მზე". პროჟექტორები ერთ-ურთისაგან განსაზღვრულ მანძილზე აქვთ გარიგებული და კარგა შორს მანძილზე აშუქებენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. „დიდ მზეებს" თანაშემწეობას უწევენ „პატერაები". მათი დანიშნულებაა ეშმაკურად გადაჰხლართონ სხივები, რომ მოწინააღმდეგებს თვალი მოსჭრან და გზა აუბნიონ. მაგრამ ამასაც არ სჯერდებიან. დრო გამოშვებით უშვებენ, „შუშხუნებს" იმ ადგილებში, სადაც რაიმე საეჭვო მოძრაობა შეამჩნიეს. ეს შუშხუნა უშველებელ მანძილზე აშუქებს მთელს რაიონს.

მათს „მექანიკას„ არ გამოეპარა თვით თოფის ტყვიების გაუმჯობესობა. გასროლისთანავე საოცრად ელვარებენ; ეს ტყვიები. . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

შეძლებას აძლევენ გერმანელებს, რომ მით გამოიკვლიონ სროლის ხაზი. და აი, თუ ვინმე მზვერავთაგანი მოჰხვდა გერმანელთა „მზის" სხივებში, სწრაფად ასტყდება ერთგვარი კაკაფონია, თუმცა ეს სიტყვა მეტად სუბუქი ტერმინი მგონია სმენის დამაყრუებელ იმ ხმაურობის დასახასიათებლად, რასაც გერმანელები თავიანთ „მექანიკის" ამოქმედების დროს დააყენებენ ხოლმე.

ეს „დამაყრუებელ-დამაბრმავებელი" საშუალებანი თურმე ცოტად მოსჩვენებიათ გერმანელებს და აი, ეხლა მიმართეს ახალს „დამაძინებელ" საშუალებას, რასაც „მოშხამულ" გაზებს უწოდებენ როცა მოისურვებენ მოქმედებას, ჯერ არტილერიას აახმაურებენ და საკმარისია ჩვენსკენ ოდნავ ქარმა დაჰბეროს, რომ მოშხამული გაზებიც გამოუშვან. შებინდებისთანავე გამოჩნდება ჯაჭვი, მოაქვთ ტყვიის მფრქვეველები, ყუმბარის მფრქვეველები, ასტყდება თოფის სროლა, შემდეგ სხვა და სხვა ჯურის ყუმბარა სკდება და შედეგად ჩვეულებრივი „აუცილებელი მდგომარება" მოსდევს ჩვენი. იერიშის მოტანაზევე ამჩნევთ, რომ თვით გერმანელებს კი არ მოაქვთ გადამწყვეტი იერიში, არამედ მათს „მექანიკას"- ხშირად მთელი მათი მოქმედება მხოლოდ არტილერიის მძაფრ სროლაში გამოიხატება.

გერმანელთ თავდაცვის დროს დიდს სამსახურს უწევენ ჰაეროპლანები. თითქმის ყოველ დღე დილით თუ საღამოთი, განსაკუთრებულ შემთხვევაში ხომ თქმა არ უნდა, გამოფრინდება „ალბატროსი", მოვა, დაგვხედავს, რა მდგომარეობაში ვართ, იკვლევს ჩვენს ბატარიების მდგომარეობას და შესაფერ ნიშნებით ელაპარაკება „მათ" იქ, სადღაც შორს. ხან რაღაც ლენტებს უშვებს, ხან კიდევ თვითვე უსწორდება მოწინააღმდეგეს და ყუმბარას ყუმბარაზე მიაყოლებს, თუ კი ამას საჭიროდ დაინახავს.

აგერ წელიწადი მიჰქრის და ომს დასასრული არ უჩანს. რას იტყვის გერმანელთა მომავალი „მექანიკა", აი ახალი გამოსაცნობი. თქმა არ უნდა, გერმანელებმა დაჰკარგეს თავიანთი საუკეთესო ძალები, გაწვრთნილი და სასტიკ დისციპლინის ცეცხლში გამობრძმედილი ჯარისკაცები. ეხლა უფრო მეტად დასჭირდებათ „მექანიკაზე" დაამყარონ თავიანთ ძალღონე. ვინ იცის, ისეთი რამ განსაკუთრებული მოიგონონ, რომ ერთიანად დაივიწყონ ღვთისა და ადამიანური უფლებანი. იქნებ ფანტასტიური არა იყოს, რა, თუ „მათში" დავინახავთ ახალს მისწრაფებას, რა არის მეხანიზმის დამღუპველ საშუალებით ყოველგან სიკვდილი გაამეფონ და მათ თანაშემწედ ვიხილოთ ქალები, რომელნიც „არა მოწყალების დათა „სპეციალ კურსებს გაივლიან".

„ბ. ვ."

# ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება

**ხოლერა.**

18 ივლისის კრებაზე თავმჯდომარემ პირველად კრებას მოახსენა ხოლერის გაჩენის ამბავი თბილისში და ის ღონისძიებანი, რომელნიც ქალაქის თვითმართველომამ იხმარა, ანუ შემდეგში უნდა იხმაროს ხოლერასთან საბრძოლველად. როგორც მოხსენებიდან სჩანს, 7 ივლისიდან 18 ივლისის დილის 12 საათამდე 27 შემთხვევა ყოფილა საეჭვო ავადმყოფობისა. ამ 27-დან ექიმების უტყუარი გამორკვევით, 11 კაცი აღმოჩენილა ხოლერიანი. აქედან 2 კაცი უკვე გარდაცვლილა. ყველა ხოლერიანი სამხედრო წოდებისანი ყოფილან. მოყვანილი ცნობებიდან მომხსენებელს ის აზრი გამოჰყავს, რომ 1) ხოლერა შემოიტანეს თბილისში ჯარისკაცებმა და 2) ხოლერას ეპიდემიური ხასიათი არა აქვს. ქალაქის გამგეობა სენთან საბრძოლველად შემდეგ ღონისძიებათა მიღებას აპირობს: 1) ვინაიდან წყალი ხოლერის უმთავრესი გამავრცელებელი ბუდეა, ამიტომ ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რომ ინჟ. ვაწაძემ და ექიმმა თარხანოვმა ქალაქის წყლის სისუფთავე დაიცვან ავჭალასა და გლდანში; 2) დროგამოშვებით ქალაქის წყალი ბაქტერიოლოგიურად უნდა გამოიკვლიონ ბ-ბმა მუხარინსკიმ და კუპცისმა; 3) ქალაქის ღარიბ უბნებში ეზოების სუფთად შენახვა დავალებული აქვს გამგეობის წევრს მ. ა. ჯაბარს. 4) ყველა ხოლერიანი, სამხედრო წოდებისა იქნება იგი თუ მოქალაქე, უნდა მოთავსდეს ქალაქის გადამდებ სენით თავშესაფარში, რომელიც ნავთლუღშია. ყოველი საეჭვო შემთხვევის დროს ავადმყოფის პატრონმა, ანუ ვინც იქნება, ტელეფონით (№ 9,13) უნდა გამოუძახოს ქალაქის მოხელეს. დანიშნულ ალაგას სწრაფად გაჩნდება ჩქარი დახმარების ეტლი, რომელიც ავადმყოფს წაიყვანს გასასინჯად ლაზარეთში № 40. საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ, ავადმყოფს, ხოლერიანს თუ აღმოჩნდა, თავშესაფარში გაგზავნიან. 5) ხოლერიან სამხედრო პირთათვის ხარჯს კისრულობს ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილება. რაც შეეხება დანარჩენებს, ე. ი. მოქალაქეებს და საზოგადოდ არა სამხედრო პირებს, თუ ვინმე ამათგანი გახდა ხოლერით ავად, ამათთვის ახალი თანხის გაღება არ მოითხოვა ქალაქის გამგეობამ, რადგან საბჭოს მიერ წინად გადადებულ ფულიდან შავ სახადთან საბრძოლველად დარჩენილა 47 ათასი მანეთი და ამის გარდა, ის 57 ათასი მანეთიც, რომელიც მთავრობამ მისცა ქალაქს შავ-ჭირთან საბრძოლველ თანხიდან, ჯერ ხელუხლებელი ყოფილა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მუხლი საბჭომ დაამტკიცა. გარდა ამისა, ხმ. პ. ა. გოთუას წინადადების თანახმად საჭიროა ხოლერის შესახებ ყოველივე მართალი ამბავი იბეჭდებოდეს, რათა ხალხში არავითარი ყალბი და ცრუ ხმები არ გავრცელდესო, ქალაქის მოურავმა აღუთქვა საბჭოს, რომ ვეცდები ნებართვა გამოვითხოვო და ყოველ დღე უტყუარ ბიულეტენს მივაწვდი პრესასო. ამასთანავე მიღებულ იქნა ხმ. ვესელოვზეროვის წინადადება, რომ ხვედრი ფულის შეუტანლობისათვის გამგეობამ წყალი არ მოუსპოს კერძო ოჯახებს და აგრეთვე წინადადება ხმ. ანტონოვისა, რომ წყლის გასასყიდი კრანები დღე და ღამე მუშაობდნენ, რათა წყალი, როგორც უმთავრესი საგანი სისუფთავისა, არ შემოაკლდეს ქალაქის ღარიბებს, მაგრამ იმ პირობით, რომ ღამით 10 ვედრა წყლის ფასი უნდა იყვეს კრანზე 1 კ., ხოლო დღით ძველებურადვე დარჩეს—5 ვედრა 1 კაპიკი. დასასრულ საბჭომ დაადგინა: რადგან ხოლერა შემოიტანა თბილისში სამხედრო უწყებამ

და-ევალოს ქალაქის მოურავს იშუამდგომლოს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსთან, რომ იმან ნებართვა გამოსცეს, რათა ქალაქის სანიტარებს ნება ჰქონდეთ ჯარისკაცთა ყაზარმები ათვალიერონ და იქაც ისეთივე სანიტარული ღონისძიებანი იხმარონ, როგორც ქალაქის დანარჩენ ადგილებში.

# დეპეშები

**კოპენჰაგენი**, 17 ივლისი. გამოირკვა, რომ გერმანიის ნაღმიკრეფია „სენატორ ბერნბერგი", ინგლისის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა.

**ათინა**, 17 ივლისი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, მოკავშირენი თანდათან ცუდ მდგომარეობაში აყენებენ ოსმალებს. წყალქვეშა ნავი გამოჩნდა იმბროსში, სადაც მოკავშირეთა ფლოტი იმყოფება, მაგრამ მავთულებმა ნება არ მისცა ნავთსადგურში შეპარულიყო.

გუშინ 5 ჯავშნოსანი სმირნას მიუახლოვდა.

**ლონდონი**, 17 ივლისი. ჩრდილოეთ ზღვაში გერმანიის წყალქვეშამ ჩასძირა ინგლისელ მეთევზეთა გემი. მეზღვაურები გადაარჩინეს.

**რომი**, 17 ივლისი. საზღვაო შტაბის ცნობა. გუშინ დილით მტერმა სცადა კუნძულ პელაგოზის უკან დაბრუნება. ორმა კრეისერმა და ექვსმა კონტრ-ნაღმოსანმა ზარბაზნები დაუშინა კუნძულს; ამავე დროს მეზღვაურთა რაზმი ნაპირზე გადმოსვლას სცდილობდა. მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ და თანაც დიდი ზარალი მივაყენეთ მას. ჩვენის მხრივ დაჭრილია ორი.

ოფიციალური ცნობა. 14 ივლისს მტრის ქვეითა ჯარმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს ტრავონამზასის ველზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა დიდის ზარალით. 16 ივლისს ღამით მტრის პატრული ცდილობდა ცეცხლი წაეკიდა კაპუჩიოს ტყესთვის, სადაც ჩვენი თხრილები იმყოფება, მაგრამ ჩვენი ყარაულების ფხიზლობის გამო მას ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. გუშინ ტყვედ წამოვიყვანეთ 120 ჯარისკაცი და 4 ოფიცერი.

**ლონდონი**, 17 ივლისი. ფელდმარშალი ფრენჩი იუწყება: პარასკევს დილით მტერმა სროლა აუტეხა გოოშის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ინგლისელების თხრილებს. შემოტევის დროს მტერი სარგებლობდა მანქანებით, რომლებიც ცეცხლის ალს ესვრიან მოწინააღმდეგეს. მტერმა შესძლო ჩვენი თხრილების პირველ რიგში შემოჭრა 500 იარდის გასწვრივ. ბრძოლა გრძელდება.

**პარიზი**, 18 ივლისი. დილის ოფიციალი ცნობა. გერმანიის ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოჰყარა სენ-პოლ-სიურ-მერში, მაგრამ არავითარი ზარალი არ მიუყენებია ქალაქისთვის. მთელი ღამე არტუაში საარტილერიო სროლაა. ნანსში მტრის ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. ზარალი უმნიშვნელოა. გერმანიის ერთი აპარატი ჩვენმა არტილერიამ ჩამოაგდო ფრანგებისა და გერმანელების შუა.

**ბუქარესტი**, 18 ივლისი. ოფიციალად იუწყებიან, რომ შემოდგომაზე გაიწვევენ სათადარიგო ჯარს. 12 ივლისიდან მოთადარიგეთ 3 ნაწილად გაჰყოფენ და თვითო მათგანს ოც-ოც დღეში გაწვრთნიან.

**თეირანი**, 18 ივლისი. შაჰის და მეჯლისის თხოვნით მუსტაფი-ულ-მამელიკმა სამინისტროს შედგენაზე თანხმობა განაცხადა. ეინუდ-დოულემ და მუშირუდ-დოულემ ახალ კაბინეთში შესვლაზე უარი განაცხადეს.

**პეტროგრადი**, 18 ივლისი. დაჯილდოვებულია წმ. გიორგის მე-4 ხარისხით აწგანსვენებული ფლიგელ-ადიუტანტი პორუჩიკი თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი.

**პეტროგრადი**, 18 ივლისი. დამტკიცებულია, რომ გერმანიას დიდძალი ჯარი გადმოჰყავს დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთში. ტყვეები ამბობენ, რომ გერმანელთა მე-54 და 58 ქვეითი დივიზია ეხლახან გადმოუყვანიათ დასავლეთიდან და მით მხოლოდ 16-ს მიუღიათ პირველად ბრძოლაში მონაწილეობა.

**პარიზი**, 18 ივლისი. საღამოს ოფიციალი ცნობა. არტილერიის ცეცხლი მძვინვარებდა დღეს სენ-უორჟის, სტენსტრეტის მიდამოებში და შამპანიაში ობერი-ვე-სიურ-სიუიპის რაიონში. არგონებში, სენ-იუბერის მიმართულებით სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. 16 ივლისს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს. პერ-სულეს რკინის გზას გერმანელების სიმაგრეებს ლანგევალში, ბრიმონის სიმაგრეებს, შატელენის სამხედრო სადგურს არგონებში, ბიუტეკურის სადგურს ლოტარინგიაში. 17-ს ჩვენმა ჰაეროპლანმა ყუმბარები დაუშინა შხამიან გაზების დორნახის ქარხანას ელზასში. დღეს ჩვენმა საჰაერო მცირე ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ფრეიბურგის სადგურს—მეორე ჯგუფმა 44 ყუმბარა ჩამოაგდო შონის სადგურზე. დღეს დილით 45 ჰაეროპლანი გაემგზავრა პეშელბრონის სანავთე ქარხნის ასაფეთქებლად, მაგრამ ღრუბლისა და ნისლის გამო მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა მიაღწია მიზანს. პიშელბრონის ქარხანას 103 ყუმბარა მოხვდა. გარდა ამისა დეტვილერის სადგურს დააყარეს 6 ყუმბარა და ფალსბურგის საავიაციო ჰასმარს კიდევ 6 ყუმბარა.

**პარიზი**. ოფიციალი განცხადება, დილას 7 ჩვენი ჰაეროპლანი ყუმბარებს უშენდნენ ფრიბურგში და ბრისგაუში სადგურს და ჰაეროპლანების ქარხნებს. ერთი ჩვენი ჰაეროპლანთაგანი რომელსაც მოტორი გაუფუჭდა, იძულებული იქნა მტრის ბანაკში ჩამოფრენილიყო.

**ლონდონი**, 18 მკათათვეს. ლლოიდი იტყობინება, რომ საფოსტო გემი „იბერიან" ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა. მომკვდარა 7, გადარჩენილა 61.

**რომი**, 19 მკათათვეს. მდინარე იზონცოზედ მლავის სიმაგრის ახლოს ჩვენ ხელსაყრელად გავაფართოვეთ ოპერაციები. კუკის მთის ახლო დავანგრიეთ დიდი ადგილი მავთულ-ხლართისა და დავიკავეთ რამოდენიმე ალაგი. გუშინ საართილერიო ბრძოლის შემდეგ მივიტანეთ [illegible] ადგილებზედ და კარგა [illegible] წინ წავიწიეთ ცენტრში, სადაც ჩვენმა ჯარმა აიღო რამდენიმე სანგარი და 334 ტყვე, მათ შორის 15 ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 3 ტყვიისმფრქვეველი, მრავალი თოფი და საომარი მასალა.

**ტოკიო**, 19 მკათათვეს. გადადგა ოკუმის კაბინეტი. იმპერატორმა მოიწვია გენროს საბჭო ახალ კაბინეტის შესადგენად.

# გერმანიაში დატყვევებულთა ნათესავების საყურადღებოდ

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრეთვე ამანათს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russ'schen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suise, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. Бахерахтъ

ან კიდევ: Bangue Papulaire Suisse, Foids Russe pour les prisonniers de guerre.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში, . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |


# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


სწრაფ-საბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.